საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

თანაზიარი

საგრანტო კონკურსის თემატიკა:
ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის

პროექტის დასახელება:
“ამომრჩეველი და დემოკრატიული საზოგადოება“

განმხორიელებელი ორგანიზაცია:
რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

პროექტის განხორციელების პერიოდი:
25 სექტემბერი - 25 ოქტომბერი, 2020 წელი

პროექტის მიზანი:
ამომრჩეველთათვის საარჩევნო საინფორმაციო პროგრამების მიწოდება და ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები:
ამოცანა N1: ახალგაზრდა ამომრჩევლების, ქალების, მათ შორის იგპ-ების, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების და შშმ პირების ინფორმირება საინფორმაციო შეხვედრების, რადიო გადაცემისა და საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებით.

ამოცანა N2: ახალგაზრდა ამომრჩეველთათვის, მათ შორის იგპ-ების, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების და შშმ პირებისთვის სასწავლო პროგრამის ფარგლებში ტრენინგების ჩატარება.

პროექტის განხორციელების არეალი:
სამეგრელო-ზემო სვანეთი: ფოთი, მესტიის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები

სამიზნე ჯგუფი:
ახალგაზრდა ამომრჩევლები, ქალები, მათ შორის იგპ-ები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და შშმ პირები.

პროექტის სამიზნე არეალი და ბენეფიციართა რაოდენობა:

პროექტის ფარგლებში სამიზნე არეალში - ფოთის 8 დასახლებაში (მათ შორის იგპ-თა დასახლებაში), ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (ის ადმინისტრაციული ერთეულები სადაც ყველაზე მეტი ამომრჩეველია: ქ. ზუგდიდი, ორსანტია, ცაიში, ჭითაწყარი, ჩხორია, რუხი, ოდიში, ნარაზენი, კორცხელი, კახათი, ინგირი, დარჩელი, განმუხური, ახალსოფელი, ახალაბასთუმანი) და მესტიის მინიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულში (მესტია, ბეჩო, ეცერი, იდლიანი, იფარი, კალა, ლატალი, ლახამულა, ლენჯერი, მულახი, ნაკრა, უშგული, ფარი, ცხუმარი, წვირმი, ჭუბერი, ხაიში) ჩატარდა 40 საინფორმაციო შეხვედრა და 4 ტრენინგი.

შეხვედრებსა და ტრენინგებს დაესწრო 454 ადამიანი.

პროექტის ეფექტი:

პროექტის პოტენციური ბენეფიციარები იყვნენ 16 - 35 წლის ასაკის ახალგაზრდები და ასევე ხანდაზმულები, ქალები, მათ შორის იგპ-ები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და შშმ პირები. ბენეფიციართა რაოდენობა - 421 ამომრჩეველი.

სულ ჩატარებულ იქნა 40 საინფორმაციო შეხვედრა.

შეხვედრებზე ამომრჩევლებისთვის მიწოდებული იქნა ინფორმაცია შემდეგ თემებზე: პარლამენტის არჩევნები; არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები; აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა; პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესი და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურები; დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი); საარჩევნო უფლებები და რეალიზება; ინკლუზიური საარჩევნო გარემო.

ჩატარდა ოთხი ერთ დღიანი ტრენინგი. დატრენინგებული ამომრჩევლების რაოდენობა - 34 ამომჩეველი.

დარიგებულ იქნა 1500 ცალი ტრიპლეტი, რამაც მინიმუმ 1500 პირდაპირი ბენეფიციარი უზრუნველყო არჩევნებთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციით.

რადიოში გასულმა ერთმა გადაცემამ მიაწოდა ინფორმაცია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობას არჩევნების როლის, პრინციპების, საარჩევნო უფლების, კენჭისყრის დღის პროცედურების, საარჩევნო სუბიექტების და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების განხორციელების შედეგად ინფორმირებულმა ამომრჩევლებმა მონაწილეობა მიიღეს გრძელვადიანი პოლიტიკის განხორციელებაში.

რადიო ათინათის ეთერში გასული რადიო გადაცემა

საინფორმაციო შეხვედრები:

ტრენინგები:



მადლობა ყურადღებისთვის!